ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №203363

ნომერი: AR155418

თარიღი : 31.05.2012

გაცემის თარიღი : 07.06.2012

გაცნობის თარიღი : 07.06.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გიორგი წერეთლის , N 3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ჭყოიძე პ/ნ 18001017688
- ქ. ზესტაფონი, ღამბაშიძის 1 ჩიხი #19

ორგანიზაცია:
- სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი კოდი: 204861970

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის ფასადზე პირველი კლასის კონდენციონერების განთავსების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, გიორგი წერეთლის ქუჩა #3, შ.პ.ს. "სახელმწიფო მომსახურების ბიურო"–ს და სახელმწიფოს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, არსებული შენობის ფასადზე კონდენციონერების განთავსებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური".

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შ.პ.ს. "სახელმწიფო მომსახურების ბიურო"–ს და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.14.07.010.007, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882012103404 16/03/2012 წ.) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, გიორგი წერეთლის ქუჩა #3, შ.პ.ს. "სახელმწიფო მომსახურების ბიურო"–ს და სახელმწიფოს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, არსებული შენობის ფასადზე კონდენციონერების განთავსების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.